გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №14(292) 2023 წ. 16-31 ივლისი ფასი 1 ლარი

ღონისძიება უჯარმაში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით უჯარმის მუზეუმ - ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისთვის ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მთის ზონის (კოჭბანი, ვერონა) მოლექსე-მოკაფიავენი: დეკანოზი თავმას ჩოხელი, გიგლა ჭინჭარაული, რამაზი დიდებაშვილი, გელა ხოშარაული; ეთო თედიაშვილი, მარეხი დიდებაშვილი ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენებურები“ და ლელა ნაყეური. სადამოს უძღვებოდა საქართველოს 2022 წლის ეროვნული ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი ლეილა არჩემაშვილი.

ღონისძიების დასასრულს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, გიორგი ლალიაშვილმა მონაწილეებსა და ფრანგ სტუმრებს მადლობა გადაუხადა შესანიშნავი სადამოსთვის და სიმბოლური საჩუქრები და მადლობის სიგელები გადასცა.

შოთა ბაჩოშვილი (ძიუდო, -50 კგ.) ევროპის XVII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებულია!

სლოვენიის ქალაქ მარიბორში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საგარეჯოელმა ძიუდოისტმა **შოთა ბაჩოშვილმა** მარიბორში, ევროპის ზაფხულის XVII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე 25 ივლისს საქმეში ძიუდოისტები ჩაერთნენ და საქართველოს დელეგაციამ პირველ წარმატებებს მიაღწია...

შოთა ბაჩოშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი პირწმინდად დაჩაგრა რუმინელი მარიო რატე - ჯერ ვაზარი აუღო, შემდეგ კი იპონზე დააგდო. ნახევარფინალშიც ასევე "ვაზარ-იპონით" დაჯაბნა აზერბაიჯანელი ნიჰად მამიშოვი. ქართველმა ფინალიც იპონით მოიგო ბელგიელთა ნატურალიზებულ ჩრდილო კავკასიელ აშხაბ ისაევთან და ოქროს მედალ დაეუფლა..

ვულოცავთ გამარჯვებას, წარმატებებს ვუსურვებთ და მალე მსოფლიო ჩემპიონატიდანაც ჩემპიონი დაგვიბრუნდეს!

ორდღიანი მეგობრობის ბანაკი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და სამგორის რაიონის გამგეობის ერთობლივი ორგანიზებითა და ძალისხმევით, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის, საგარეჯოში ორდღიანი მეგობრობის ბანაკი მოეწყო.

ბანაკის მთავარ მიზანს, სამგორსა და საგარეჯოში მცხოვრები ახალგაზრდების დამეგობრება, ადგილობრივ თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის კუთხით არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ერთობლივი პროექტების დაგეგმვა წარმოადგენდა.

ღონისძიების ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და სამგორის რაიონს შორის ასევე გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, **ავთანდილ გულიკაშვილმა** და სამგორის რაიონის გამგებელმა, **კახა სამხარაძემ** მოაწერეს.

მემორანდუმი მხარეთა ერთობლივი ძალისხმევითა და მხარდაჭერით, დამეგობრებულ რაიონსა და მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებების განვითარებას ითვალისწინებს. პროექტში მონაწილე ახალგაზრდებთან შეხვედრას ***სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი* სოზარ სუბარი** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

19 ივლისი, 2023 წელი

19 ივლისს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, **ავთანდილ გულიკაშვილი** მოადგილეებთან ერთად საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს შეხვდა, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტების შესახებ ინფორმაცია მოისმინა და „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში შერჩეული პრიორიტეტების განსახორციელებელ სამუშაოებზე ისაუბრა. გაერთიანებული სამუშაო შეხვედრის მიზანს ასევე წარმოადგენდა სხვადასხვა პროექტებთან და ინიციატივებთან დაკავშირებით წარმომადგენლების მეტი ინფორმირებულობა და სოციალური საკითხების განხილვა.

სოფლის მეურნეობა

საშემოდგომო ქერი დამთავრდა, ჯერი ხორბალზეა

საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 24 ივლისისათვის მუნიციპალიტეტში მთლიანად იყო მომკილი საშემოდგომო ქერის ყანები, საიდანაც საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 1,8 ტონა მარცვალი შეადგინა. ამავე პერიოდისთვის საშემოდგომო ხორბალი ასაღები დარჩენილი იყო 1000 ჰექტარზე. ხორბლის აღებული ფართობების საშუალო მოსავლიანობამ ჯერჯერობით 2.2 ტონის ფარგლებშია. „ალოობა-2023“ მუნიციპალიტეტში წარმატებით გრძელდება, რასაც ხელს მკისთვის სადაგი ცხელი დღეებიც უწყობს.

ინფრასტრუქტურა-2023 წელი

პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება დაიწყო

2023 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის 668 000 ლარია გამოყოფილი.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებია:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

სარწყავი სისტემები;

სანიაღვრე არხები;

ნაპირსამაგრი სამუშაოები

გზები და გზისპირა მოსაცდელები;

ხიდები, ცხაური, ხიდ-ბოგირები, გადასასვლელები.

გარე განათება.

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

ამბულატორიის შენობები;

სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;

წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

ადმინისტრაციულ ერთეულებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებისას განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, პროექტების განსახორციელებელი სამუშაოები უკვე დაიწყო.

სოფელ შიბლიანში ახალი რეკრეაციული სივრცე მოეწყობა

სოფელ შიბლიანს, მალე ახალი მრავალფუნქციური და რეკრიაციული არეალი დაამშვენებს. ადგილობრივი ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით, პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, **ავთანდილ გულიკაშვილმა,** პირველ მოადგილესთან, **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად სამუშაოები ადგილზე მოინახულა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა, მოსაზრებები მოისმინა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სიზუსტით დაცვისკენ მოუწოდა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულება 215 012 ლარია და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს “გლობალ სტანდარტმშენი” ახორციელებს.

მართლმადიდებლობა

წმინდა დიდმოწამე მარინე

წმინდა დიდმოწამე მარინეს ტროპარი

“ტარიგი შენი, იესუ, მარინე ხმობდა ხმითა მაღლითა, შენდა მსურის, სიძეო ჩემო, და შენითა ძიებითა დავსთხევ სისხლთა ჩემთა, და თანა ჯვარს ვეცმი, და თანა დავეფლვი შენდა ნათლისღებითა და მელმის შენთვის, რათა ვსუფევდე შენთანა და მოვსწყდები სახელისა შენისათვის, რათა ვიდიდოცა შენ თანა, არამედ ვითარცა მსხვერპლი უბიწო მიმითვალე, რომელი სურვილით მოვიღტი შენდა, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.”

კონდაკი

ქალწულებისა სიკეთითა განშვენებულმან, ქალწულო, და წამებისა ღვაწლითა გვირგვინოსანმან, მარინე, სისხლითა ღვაწლთათა სხურებულმან, და კურნებათა საკვირველებითა განბრწყინვებულმან, კეთილ-მსახურებით მიითვალენ, მოწამეო, ძლევისა ნიჭნი ღვაწლთა შენისათანი.

წმიდა დიდმოწამე მარინე — მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის წმინდანი, ხსენების დღე ძვ. სტილით 17 ივლისი, ახ. სტილით – 30 ივლისი. ანტიოქიელი წმინდანი.

წმინდა დიდმოწამე მარინე პასიდიის ანტიოქიაში მცხოვრები წარმართი ქურუმის ოჯახში დაიბადა. დედით ადრეულ სიყმაწვილეშივე დაობლებულ შვილზე ზრუნვა მამამ ძიძას მიანდო. კეთილმსახურმა გამდელმა ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებით აღზარდა ნეტარი.

ამასობაში იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305) ქრისტიანების სასტიკი დევნა დაიწყო. მართლმორწმუნეთა დასასჯელად ანტიოქიაში მიმავალი ეპარქი ოლიმბრი გზად თხუთმეტი წლის მარინეს გადაეყარა, მოიხიბლა მისი მშვენიერებით და ვინაობა და წარმომავლობა ჰკითხა. სათნო ქალწული თავმდაბლად პასუხობდა შეკითხვებზე, არ დაუმალავს ისიც, რომ ქრისტიანი იყო, ემზადებოდა ნათლობისათვის და ქრისტესთვის აპირებდა ცხოვრების მიძღვნას. ეს რომ შეიტყო, ოლიმბრმა თანმხლებ მეომრებს მისი შეპყრობა და ქალაქისკენ გაყოლიება უბრძანა, თან ფრთხილად ეპყრობოდა ასულს, იმედი ჰქონდა, რომ დაიყოლიებდა რწმენის უარყოფაზე და ცოლადაც შეირთავდა.

მეორე დღეს წმინდანი სამსჯავროზე წარადგინეს. ეპარქმა ურჩია, კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ ვერც პირფერობამ გაჭრა და ვერც მუქარამ.

საპყრობილეში გამომწყდეული ქალწული დაუდუმებლად ლოცულობდა და მაცხოვარმაც წყალობის თვალით მოხედა თავის მსასოებელს: ღამით მარტვილის თავს ზემოთ მანათობელი ჯვარი გაბრწყინდა, ჯვარს თეთრი მტრედიც დაადგა და ზეგარდმო გაისმა: „გიხაროდენ, მარინე, ქრისტეს გონიერო მტრედო! რამეთუ დათრგუნე მხდომის სივერაგე; გიხაროდენ, რამეთუ მალე ბრძენ ქალწულთა თანა ღირს იქმნები შესვლად ქორწილსა შინა სიძისა შენისასა, უკვდავისა მეუფისა ზეცათასა!“ მადლმოსილი სიტყვებით გამხნევებულმა მოწამემ იგრძნო, რომ წყლულებიც უმთელდებოდა, გული სიხარულით აევსო, ადიდა უფალი და მეორე დღეს სულით და ხორცით ახოვანქმნილი წარდგა მსაჯულის წინაშე.

მომხდარი სასწაული ეპარქმა კერპებს მიაწერა და მარინეს კვლავ მათი თაყვანისცემა მოსთხოვა, მაგრამ ნეტარმა აღმსარებელმა ისევ და ისევ ერთი ჭეშმარიტი ღმერთი ადიდა. უღმრთოებმა ახალ-ახალი სატანჯველები დაატეხეს წმიდანს, ბოლოს კი წყლით სავსე უზარმაზარ კოდში ჩააგდეს. დასახრჩობად განწირული მარინე ღვთაებრივმა ნათელმა გააცისკროვნა, საკვრელები თავისით შეეხსნა და, კვლავ ცოცხალი დარჩა. საკვირველმა სახილველმა განცვიფრებაში მოიყვანა ხალხი. ბევრმა ირწმუნა და ადიდა ჭეშმარიტი ღმერთი, ეპარქი კი გააფთრდა და ბრძანა, ამოეჟლიტათ ყველა, ვინც ქრისტეს აღიარებდა. მაშინ ათასხუთასი ქრისტიანი ეწამა. წმინდა მარინეს თავი მოჰკვეთეს.

ჯვაროსნების მიერ 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღებამდე წმინდა მარინეს უხრწნელი ნაწილები პანტეპონტის მონასტერში იმყოფებოდა. სხვა ცნობებით, 908 წლამდე ისინი ანტიოქიაში ესვენა, აქედან კი იტალიაში გადააბრძანეს. ათონზე, ვათოპედის მონასტერში დაცულია დიდმოწამის პატიოსანი მკლავი; მეორე მკლავი კი საქართველოში, ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ინახება.[.

უდაბნოში, ახალი, მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი შენდება

სოფელ უდაბნოში, ახალი-მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა დასკვნით ფაზაშია.

სამშენებლო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარებს და მიმდინარე წლის შემოდგომით დასრულდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, სპორტული სივრცეების მოწყობას სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გეგმავს.

მინი სტადიონების მოწყობის სამუშაოები გრძელდება

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონებისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპისათვის, ქ. საგარეჯოს, ე. წ „ზვარის“ მიმდებარედ ახალი, მრავალფუნქციური მინი სტადიონი შეემატა.

ინფრასტრუქტურა-2023

მნიშვნელოვანი პროექტებიდან...

სოფელი კაკაბეთი სასაფლაოსთან მისასვლელი გზა

სოფელ კაკაბეთში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპი დაიწყო. პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 1 019 300 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა მოადგილესთან ერთად სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე მოინახულა და კომპანიის წარმომადგენლებს რეკომენდაციები გააცნო. ხელშეკრულების პირობების თანახმად, სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

„ ჩვენი მიზანია, მუნიციპალიტეტში მაქსიმალურად მოვაწესრიგოთ საგზაო ინფრასტრუქტურა.

აღნიშნულ ლოკაციაზე, არასდროს არ ყოფილა ასფალტის საფარი. ეს გახლავთ ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბნის სასაფლაოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა და მისი განშტოება-შიდა საუბნო გზა. მოგეხსენებათ, რა რთულია ნალექიან ამინდში გადაადგილება. ამ სოფელში მთავარ პრიორიტეტად დავსახეთ აღნიშნული გზის მოასფალტება, თუმცა მხოლოდ ამ პროექტით არ შემოვიფარგლეთ, ასევე ავაშენეთ 80 აღსაზრდელზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის შენობა, სრული რეაბილიტაცია უტარდება საბავშვო ბაღის ეზოს და მიხარია, რომ ახალი სასწავლო წლიდან კაკაბეთელები თანამედროვე სტანდარტების სააღმზრდელო დაწესებულებით ისარგებლებენ. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას ინფრასტრუქტურის მიმართულებით, თბილისის, ალაზნის ქუჩის და ჩიხების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს, შესყიდვის პროცესშია ასევე რამდენიმე ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი. მაქსიმალურად ვცდილობთ, მოსახლეობას შევუქმნათ შესაბამისი პირობები. “ - **აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა.**

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

სახალისო-შემეცნებითი თამაში

„ქალაქობანა“, რომელმაც ორი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები დაამეგობრა

ივნის-ივლისი ემოციებით დატვირთული დღეებით დაიწყო საგარეჯოსა და გორის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისათვის. საგარეჯოში ჩატარდა სახალისო-შემეცნებითი თამაში „ქალაქობანა“, რომელშიც ორივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები იღებდნენ მონაწილეობას. ეს იყო მართლაც შეუდარებელი დღე, როცა თავად გარეჯელებიც და გორელებიც საგარეჯოს ქუჩებში დარბოდნენ, ეძებდნენ კითხვების მიხედვით შედგენილ მინიშნებებს...

ამ კონკურსში ვერ ვიტყვით ვინ იყო გამარჯვებული, ორივე მხარე გამარჯვებული იყო და იცით, რატომ? ორივე მუნიციპალიტეტის გუნდები ერთნაირი პასუხისმგებლობით, ერთნაირი სიხარულით, ერთნაირი ემოციებით მოეკიდნენ დავალებებს და რაც მთავარია, თუნდაც ამ ერთმა დღემ, საგარეჯოს ქუჩებში „გულამოვარდნილმა“ სირბილმა ისე დაამეგობრა ერთმანეთთან, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები, დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

შემდეგ გორში გაიმართა „ქალაქობანა“. ახლა გარეჯელებმა გაიცნეს გორი, მოირბინეს ქალაქის ქუჩები...

„ქალაქობანამ“ ორივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ერთმანეთს გააცნო, დაამეგობრა“-ო, – მითხრა საუბარში „ქალაქობანას“ სულისჩამდგმელმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის გვერდით მდგომმა, საგარეჯოს კოლორიტმა **ბადრი დრეიძემ**, – 24 ივლისს დაიწყო და წარმატებით დასრულდა ქალაქობანას საგარეჯოს ეტაპი, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაიარა. ამ ეტაპზე ბებერი გარეჯის ქუჩები საგარეჯოელმა და გორელმა ახალგაზრდებმა აახმიანეს... მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერიას, ***განსაკუთრებით მერის I მოადგილეს* ემზარ კუჭუაშვილს,** რომელიც თამაშის დაწყებიდან დავით გარეჯის მონასტერში ექსკურსიასა და სტუმარმასპინძლების დამშვიდობებამდე ჩვენს გვერდით იდგა. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსს **არჩილ ჯაბადარს** და ***მის გუნდს,*** გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსს **რამაზ შიოშვილს**, მის მოადგილეს **ვასილ ბალახაძეს** და ახალგაზრდული განყოფილების უფროსს **დიმიტრი გოგიაშვილს,** რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული გორში ჩატარებულ „ქალაქობანას“ მეორე ეტაპში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული სამსახურის სპეციალისტმა **ნინო ესაიაშვილმა** კი გვითხრა:

– რომ არა ბატონი ბადრი დრეიძე, ეს პროექტი ვერ შედგებოდა, იდეა მას ეკუთვნის მერე კი ცოტა დავხვეწეთ, შევცვალეთ და საბოლოო სახით წარვადგინეთ. პირველ თამაშს თან ახლდა დიდი ემოციები, ნერვიულობა და საზოგადოების მხრიდან რეაქციების მოლოდინები, როგორ შეხვდებოდნენ ახალ გამოწვევას და როგორ ჩაებმებოდნენ ჩვენს თამაშში.

მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა გარეჯელების ინტერესმა. რეგისტრაცია ბევრმა ორგანიზაციამ გაიარა და უფრო მეტად „შევშინდით“, რომ ჩვენც გაგვემართლებინა მათი მოლოდინი.

სამუშაო ძალიან დიდი იყო. სულ 15 გუნდი დარეგისტრირდა. შესარჩევი 75 ლოკაცია გვქონდა. უნდა მოგვეძებნა ლოკაციები, სადაც დავდებდით მინიშნებებს. ყველა ლოკაციის კილომეტრაჟი უნდა გაგვეზომა და თანაბარი ყოფილიყო. ეს ყველაფერი კი დიდ შრომას და ძალისხმევას მოითხოვდა, რომ არა ირაკლი თულაშვილის უანგარო დახმარება, ამასაც ვერ შევძლებდით.

გასულ წელს თამაში ძალიან კარგად ჩატარდა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა.

წელს შევცვალეთ თამაშის ფორმატი და ჩავატარეთ გორელ ბავშებთან ერთად.

პროექტის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, თავისუფალი დროის სწორად წარმართვა, სხვა მუნიციპალიტეტების კულტურის გაცნობა და ახალგაზრდებში მეგობრული ურთიერთობის ხელშეწყობა.

რატომ გორი?

შარშან ახალგაზრდულმა განყოფილებამ განახორციელა პროექტი „პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა“. მოწვეული იყო კარიერული კონსულტანტი, ქოუჩი, ახალგაზრდული მუშაკი **შოთა მარანელი.** პროექტის შემდეგ ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ სხვა პროექტებიც ერთობლივად განგვეხორციელებინა. ასე შედგა გორის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დამეგობრება. თამაში უნდა ჩატარებულიყო ორ ეტაპად, საგარეჯოსა და გორის მუნიციპალიტეტებში;

პირველი ეტაპი ჩატარდა საგარეჯოში, ხოლო მეორე, გორში;

პირველი ეტაპის მონაწილე გუნდები ავტომატურად თამაშობდნენ მეორე ეტაპს გორის მუნიციპალიტეტში;

გამარჯვებული გამოვლინდა ორივე მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლად;

დღეს მოქმედი ანსამბლები

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №11,12,13)

„კასლეთილა“

1987 წელს სოფელ უდაბნოში ჩამოსახლებულმა სვანებმა თან თავიანთი კუთხის ადათ-წესებისა და ფოლკლორის სიყვარული ჩამოიყოლეს. **ფიქრია მარგიანი** მაშინ 4 წლის იყო, აქ, ამ მზით დამწვარ, ქარისგან გამომშრალ მიწა-წყალზე გაიზარდა, სკოლაც აქ დაამთავრა და თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში ჩააბარა. მალე, 2003 წელს ოჯახი შექმნა და მყარად დაეფუძნა სოფელ უდაბნოს. მანამდე კი, სწავლისას, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში კარგად დაეუფლა ქართულ საგალობლებს და სვანურ ფოლკლორულ სიმღერებზე უზომოდ შეყვარებულმა ანსამბლ „კასლეთილას“ შექმნა გადაწყვიტა. გვერდში დაუდგნენ დედა – ***ლია პირველი, ხათუნა მარგიანი*** და თანასოფლელები: ***ცუცა ნავერიანი, თამარ გვიდანი, ირმა შუკვანი, დოდო ფარჯიანი, ნაზი ფარჯიანი, თამარ თამლიანი, ნანა გვიდანი...*** მათგან ყველაზე ასაკიანი – 77 წლისაა. ანსამბლის რეპერტუარში 20-ზე მეტი სვანური სიმღერაა დამუშავებული.

„თამარ დედოფალ“, „ყანსავ ყიფიანე“, „მურზა ი ბეუქსილ“, „ვარგილი“, „შინა ორგილი“, „ბილ ბეთქილ“. სიმღერები „მურზა ი ბეუქსილ“, „შინა ორგილი“, „კასლეთილა“ – საფერხულო სიმღერებია, სიმღერასთან ერთად ნაზი ფარჯიანი, ხათუნა მარგიანი, ნანა გვიდანი, თამარ თამლიანი ცეკვავენ.

„პატარა გარეჯელები“

ფიქრია მარგიანმა ანსამბლი 2013 წელს შექმნა. მათში პირველად ლია და თამთა გულბანები, თამარ და სოფო იოსელიანები, ნინო გოგოჭური, გიორგი არღვლიანი, ნატა კორძაია, ლერი ცინდელიანი, თაკო ჭელიძე, გვანცა ქალდანი გაერთიანდნენ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

თამაში წარიმართა ღია ცის ქვეშ და მოიცავდა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციას;

თამაშის პრინციპი იყო გუნდური თამაში;

თამაში საგარეჯოში ჩატარდა ჩვენი ფორმატით, ხოლო გორში მათი ფორმატით. გუნდი დაკომპლექტებული იყო სამი გორელი და სამი საგარეჯოელი მონაწილისგან. კითხვები უნდა მოგვერგო ორივე გუნდისთვის.

თამაშის ბოლოს გორელმა სტუმრებმა მოინახულეს დავით გარეჯი, ხოლო გორში სტუმრობისას კი მოთამაშე გუნდები დაპატიჟეს უფლისციხეში.

მეგობრობა შედგა, ბავშვებმა დაუვიწყარი დღე გაატარეს.

პროექტის განხორციელებისთვის დიდი წვლილი აქვს ***საგარეჯოს მერს ბატონ* ავთანდილ გულიკაშვილს,** მის ***პირველ მოადგილეს* ემზარ კუჭუაშილს.**

გორში გვიმასპინძლეს და მხარში გვედგნენ გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ბატონი **რამაზი შიოშვილი,** ***რამაზის მოადგილე* ვასილ ბალახაძე** და ახალგაზრდული განყოფილების უფროსი **დიმიტრი გოგიაშვილი**.

მომავალი წლისთვის კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი ელის საგარეჯოს.

კულტურა

საკურორტი ვაუჩერები გადაეცათ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა, მოადგილესთან, გიორგი ლალიაშვილთან და ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღანელთან ერთად, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებს საკურორტი ვაუჩერები გადასცა.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ყოველ ზაფხულს ამ ოჯახებმა შეძლონ შვილებისთვის გარემოს შეცვლა. თითოეული მათგანი ადგილობრივი თვითმართველობის მხრიდან უნდა გრძნობდეს ზრუნვასა და მხარდაჭერას. სწორედ ამ მიზნით, გადავწყვიტე, რომ პირადად შევხვედროდი მშობლებს და ეს დროული და საჭირო საჩუქარი გადამეცა. ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ მუ აობას მოწყვლად ჯგუფებთან. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, შშმ პირების საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით, მსგავსი აქციები რეგულარულად ჩატარდება.“- განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა

შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის პროგრამის მიხედვით, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა და 18 წლამდე მოზარდების სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მომსახურება ფინანსდება. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 120 000-ის ჩათვლით. პროგრამის მოსარგებლეებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაიცემა ერთი დახმარება. სერვისის მიწოდებისთვის ასანაზღაურებელი თანხა, არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების ღირებულებას.

ათბალიანი შეფასება

ქ. მარნეულში, რიგით მე-7 სიმღერის ფესტივალი - „სხვა საქართველო სად არის“ ჩატარდა, ფესტივალში საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან სტუდია „კამერტონი” (ხელმძღვანელი **თეა ხატიაშვილი**) იღებდა მონაწილეობას.

სტუდიის ორი სოლისტი- **ცოტნე გაჩეჩილაძე** და **მარიტა კაპანაძე** მეორე საპირიზო ადგილის მფლობელები გახდნენ. ხოლო „კამერტონი”-ს *კვინტეტმა*: (მარიამ მარიდაშვილი, მარიამ მარხვაშვილი, ნატალი ნადაშვილი, ნანიკო კოხტაშვილი, ელენე ხებრელაშვილი) მოიპოვა „გრანპრი”.

კონკურსს აფასებდა კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ნუგზარ კვაშალი, რომა რცხილაძე, ნუცა ჯანელიძე და ილია გელაშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შვიდი წლის მანძილზე, საქართველოს მასშტაბით გამართულ აღნიშნულ ფესტივალზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა პირველად მოიპოვა „გრანპრი”.

პოეტ ქალებთან შეხვედრა

საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითველო დარბაზში შემოქმედ მკითხველებთან შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდა შემოქმედი ქალბატონები **ლალი ზირაძაშვილი, ლია ძურხული და თეა ბუზარიაშვილი** მაყურებლის წინაშე საკუთარი შემოქმედებით წარსდგნენ.

ბიბლიოთეკის დარბაზში გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვარ - **თამარ იორამაშვილისა და თეა ბუზარიაშვილის** ნამუშევრები.

ღონისძიების ორგანიზატორი ცენტრალური ბიბლიოთეკის მომსახურების სპეციალისტი ქ-ნ თინა კობაური იყო

თურქეთში, საერთაშორისო ფესტივალზე

მიმდინარე წლის 5 ივლისს, ქალაქ ბათუმის საზაფხულო თეატრში, ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების XXX საერთაშორისო ფესტივალი “ჩემი ლამაზი ქვეყანა -ბათუმი 2023 “ გაიმართა. სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობას იღებდა ქორეოგრაფიული ანსამბლი “ალავერდი”. ანსამბლის ხელმძღვანელი **გიორგი ასრათაშვილი** ფესტივალზე ანსამბლის უმცროსი თაობის მოცეკვაეებმა ჟიურის და მაყურებლის დიდი მოწონება და სიმპათია დაიმსახურეს და საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობაში პირველი ადგილი მოიპოვეს.

ანსამბლი „ალავერდი” აგვისტოში გაემგზავრება თურქეთში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, სადაც ღირსეულად წარმოაჩენს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას .

მხატვარი ბავშვების ნახატების გამოფენა

ბადიაურის სასოფლო კლუბში ჩვენი მხატვარი ბავშვების ნახატების გამოფენა მოეწყო, ბავშვებმა ნახატებთან ერთად მხატვრული ნომრებიც წარუდგინეს დამსწრე საზოგადოებას, იქ სადაც აქტიური მუშაობაა, შედეგიც კარგია, მადლობა ჩვენს პედაგოგს ელენე ზირაქაშვილი ,მადლობა გამგეობის თანამშრომლებს კახა ჩალათაშვილს და დიკო ოდიშვილი ,მადლობა ბავშვებს და მშობლებს გვერდში დგომისათვის,ჩვენ ერთად ბევრს შევძლებთ, მიყვარხართ მეიმედებით.



მზია ხორბალაძე
ბადიაურის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი

როზა ფარეშიშვილის ნამუშევრების გამოფენა

ღონისძიებათა სერია „მადლიერების საღამო”-ფარგლებში, მიმდინარე წლის 3 ივლისს, სოფ. თოხლიაურში დამსახურებული პედაგოგის როზა ფარეშიშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. (წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი თოჯინები და ნაქარგები).

სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ლუკა მარტიაშვილმა მწვრთნელის შეპირებული ევროპული „ოქროთი“ გაბვახარა

არც ისე ძნელი წარმოსადგენია, ფიქრობდა თუ არა თავიდან ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელით **თამაზ ყიფიანი,** თუ მისი აღსაზრდელები ასეთ წარმატებას მიაღწევდნენ, თორემ ამ 8 წლის წინ ამ საქმეს ალბათ ხელს არც მოჰკიდებდა. მისი აღსაზრდელი ლუკა მარტიაშვილი. ივლისის დასაწყისში ბუდაპეშტში გამართულ 15 წლიან ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „კლასიკური“ ჭიდაობის ახლადფუძემდებელ მწვრთნელს ახლაც, ამ რვა წლის შემდეგაც კარგად ახსოვს თავისი ამ ნიჭიერი მოსწავლის პირველი ნაბიჯები, მისი დიდი წარმატება, როცა 8 წლის ლუკა ჩემპიონი გახდა რუსთავში გამართულ ომარ გუგეშაშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე 23 კგ წონით კატეგორიაში. ამ ხნიდან მოყოლებული თამაზ ყიფიანის მცდელობით, რომელსაც ლუკას გარდა, აღზრდილი ჰყავს ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთი პრიზიორი, ქერიმ მაჩალიკაშვილი, საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დიდების ნაკრების წევრი, ლუკა მარტიაშვილი თანდათან ხვეწს და აუმჯობესებს თავის ოსტატობას და შესაბამისად, მატულობს ქვეყნის საჭიდაო არენებზე მის მიერ მოპოვებული წარმატებები. მათგან, ლუკასთვის პირველი ყველაზე შედეგიანი 2022 წელი იყო, როცა გახდა ოზურგეთში გამართული საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონი 2007-2008 წლებში დაბადებულთა შორის.

აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობაში ლუკას პირველად მოუხდა 75 კგ წონით კატეგორიაში ჭიდაობა და მიუხედავად ამისა, შეძლო გამართული 4 შეხვედრის თავის სასარგებლოდ დასრულება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ფინალურ შეხვედრაში მან დაამარცხა მაშინდელი საქართველოს ჩემპიონი ალადაშვილი, რომელსაც მანამდე ორი წლის მანძილზე არც ერთხელ არ წაუგია ამ წონაში. ამ გამარჯვების შემდეგ იყო, რომ თამაზ ყიფიანმა „დაიქადნა“ – უახლოეს 2 წელიწადში ჩემს აღსაზრდელებს საგარეჯოში ევროპულ მედლებსაც ჩამოვატანინებო და აკი შეასრულა კიდეც!

ამის შემდეგ მარტიაშვილი-ალადაშვილის გზები კიდევ ორჯერ გადაიკვეთა და ორივეჯერ გარეჯელი მოჭიდავის სასარგებლოდ დასრულდა. ერთხელ მაშინ, როცა ისინი ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრებოდნენ, ალადაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა, მეორედ კი უკვე ევროპის ჩემპიონად გახდომის შემდეგ მოუგო საქართველოში დაბრუნებულმა.

ლუკამ წარმატებულად დაიწყო მიმდინარე 2023 წელიც. 1-3 მაისს სტეფანწმინდაში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე 15 წლიდან კადეტებში იგი კვლავ საქართველოს ჩემპიონი გახდა, სადაც დაძაბულ ორთაბრძოლაში დაამარცხა ამ წონაში საქართველოს ნაკრებში მისი მეტოქე სენაკელი ქვარცხავა, რომელთანაც ბედმა უნგრეთში, ევროპის პირველობაზეც შეახვედრა.

ახლა რაც შეეხება უნგრეთში გამართულ ევროპის ამ ჩემპიონატს. ეს ასპარეზობა ბუდაპეშტში 7-8-9 ივლისს გაიმართა 15 წლამდელთა შორის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა შორის, სადაც ევროპელებთან ერთად რუსებიც იყვნენ წარმოდგენილი. საქართველოს ნაკრები 75 კგ წონით კატეგორიაში ორი მოჭიდავით იყო წარმოდგენილი მარტიაშვილით და ქვარცხავათი და ფორტუნამ ისე ინება, რომ ევროპის ჩემპიონობისათვის ფინალური შეხვედრა მათ შორის გამართულიყო. მანამდე ლუკამ პირველ ორთაბრძოლაში დაამარცხა ბულგარელი, მერე აზერბაიჯანელი მეტოქე და ნახევარფინალში შეხვდა მოლდოველ მეტოქეს. მოლდოველი მეტოქე თავიდან თითქოს სჯობნიდა ჩვენს მოჭიდავეს,– 5:0-ზე, მაგრამ მეორე პერიოდში ლუკამ დამაჯერებლად 11:5-ზე შეძლო მისი დამარცხება და ფინალში გასვლა. ამის პარალელურად ქვარცხავამ დაამარცხა რუსი მოჭიდავე 8:2 და და ისიც ფინალში გავიდა. ისე, რომ ევროპის გულში ქართული ფინალი გათამამდა, სადაც ლუკამ 5:1 დაამარცხა ქვარცხავა და ჩემპიონის კვარცხლბეკზე ამაღლდა. ისე, რომ ლუკამ და ქვარცხავამ უნგრეთში ორჯერ ააჟღერეს საქართველოს ჰიმნი. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი ჯემალ ბაკურიძე.) გუნდური პირველი ადგილი დაიკავა, რაშიც, რა თქმა უნდა, დიდია ჩვენებური მოჭიდავის დამსახურება.

ახლა ევროპის საგარეჯოელი ჩემპიონი და გამარჯვებული საგარეჯოშია და ამაგდარ მწვრთნელთან ერთად, რომელსაც ალბათ მალე მიანიჭებენ დამსახურებული მწვრთნელის წოდებას, მონდომებით ემზადება ბავშვთა ოლიმპიური თამაშებისათვის, რომელიც ბრაზილიაში უნდა ჩატარდეს.

წარმატებები ვუსურვოთ ლუკას ამ ასპარეზობაშიც.

ქართული ჭიდაობა

გუნდური ჩემპიონობა დიდი მოურავის სახელობის პრესტიჟული ტურნირიდან

15 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსტეში, დიდი მოურავის მშობლიურ სოფელში ჩატარდა საქართველოს გუნდური ტურნირი 2004-2006 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის ქართულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა რეგიონების და ქალაქების სპორტსმენები. მოჭიდავეთა დაინტერესებას აძლიერებდა ისიც, რომ საპრიზო ადგილებზე გასულთათვის დაწესებული იყო ფულადი ჯილდოები – 6 ათასი – პირველი ადგილისათვის, 4000 – მეორე ადგილისათვის, 2000 – მესამე ადგილისათვის. ამის გამო მთელ რიგ მუნიციპალიტეტებს ასპარეზობაზე ორ-ორი გუნდიც კი ჰყავდა გამოყვანილი.

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტულ გაერთიანებას“ კი ერთი გუნდი ჰყავდა გამოყვანილი, რომლის დირსებასაც იცავდნენ: 60კგ-ში – მანაველი ონისე ბორაშვილი და გიორგიწმინდელი გიორგი ღრეული; 66კგ - გიორგი დურიშვილი; 73კგ-ში – ლუკა ჭინჭარაძე და გიორგი ღვთისავრიშვილი, 81კგ-ში – უდაბნოელი გიორგი არდვლიანი და მძიმე წონაში – საგარეჯოელი სანდრო სონიშვილი. გუნდს ნოსტეში ახლდნენ სპორტგაერთიანების მწვრთნელ-მასწავლებლები **თემურ კურდღელაშვილი და მამუკა მათიაშვილი.**

საგარეჯოელთა ნაკრებს პირველი შეხვედრა თბილისის „შევარდენთან“ ჰქონდა და გამარჯვებაც იზეიმა, რის შემდეგაც დაამარცხეს კასპისა და გორიჯვრის უძლიერესი გუნდები და ფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქე გორის მეორე გუნდი აღმოჩნდა, რომელთან დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს ჩემპიონის ტიტულისა და ამისათვის დაწესებული ჯილდოების მოპოვება.

ჩვენი გუნდის ამ წარმატებაში მის ყველა მონაწილეს მიუძღვის დამსახურება. საუკეთესოდ იჭიდავა ასპარეზობაზე **ონისე ბორაშვილმა; გიორგი დურიშვილმა** ოთხი შეხვედრა გამართა ნახერხმოყრილ მოედანზე და ოთხივე თავის სასარგებლოდ, თითო წუთში დაასრულა.

მაყურებელთა და ჭიდაობის ნოსტელი გულშემატკივრების გული თავისი ლამაზი ჭიდაობით დაიპყრო **გიორგი არღვლიანმა,** რომელსაც სპეციალური თასი – „საუკეთესო ჭიდაობისათვის“ გადაეცა.

საგარეჯოელი ფალავნების ამ წარმატებებში ლომის წვლილი შეიტანა ნაკრების მძიმე წონის მოჭიდავემ **სანდრო სონიშვილმა**, რომელმაც შეძლო ნაკრები გუნდისთვის ორ გადამწყვეტ შეხვედრაში გამარჯვების მოპოვება.

ამრიგად, აპრილის თვეში გურჯაანში ქართულ ჭიდაობაში მოპოვებულ კახეთის რეგიონული ჩემპიონის ტიტულს გუნდურ ჭიდაობაში და გარდამავალ თასს, ჩვენმა მოჭიდავეებმა კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმატება შემატეს.

წარმატებები ვუსურვოთ მათ მომავალშიც.

ქუთაისის საერთაშორისო ტურნირის 3 საგარეჯოელი ჩემპიონი

ამასწინათ ქუთაისში ქალაქის სპორტის სასახლეში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის, რომელშიც ქართველ მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ მეზობელი, სომხეთის წარმომადგენლებიც.

საქართველოს სხვა სპორტული გაერთიანებების აღსაზრდელებთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელ ***თამაზ ყიფიანის*** მოსწავლეებმაც და ქუთაისიდან სამი ოქროს მედალითა და ჩემპიონის წოდებით დაგვიბრუნდნენ საგარეჯოში.

პირველი წარმატება და **ჩემპიონის წოდება** საგარეჯოელებს თამაზ ყიფიანის ვაჟმა **ნიკოლოზ ყიფიანმა** მოუტანა, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლაში ვადაზე ადრე აშკარა უპირატესობით 8:0 დაამარცხა სომეხი მეტოქე.

ამაზე ადრე 8 წლის ნიკოლოზმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ოზურგეთში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზე, ზესტაფონში კი ვიცე-ჩემპიონი გახდა 23 კგ წონით კატეგორიაში.

საერთაშორისო ტურნირზე გამართული 4 შეხვედრიდან ყველა აშკარა უპირატესობით დასრულა 57კგ-ში მოასპარეზე **დავით მაისურაძემ** და დამსახურებლად მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

ნიკა ყიფიანსა და დათო მაისურაძესთან ერთად ტურნირის ჩემპიონი გახდა ბურდიანელი **შოთა ტაბატაძე**, რომელმაც ეს ტიტული 85კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა და ყიფიანის ერთ-ერთ წარმატებულ მოსწავლედ ითვლება

P.S. `ქ ქუთაისში და ბუდაპეშტში მიღწეული წარმატებების სიხარულთან ერთად ამ დღეებში თამაზ ყიფიანს სიხარული გაუორკეცა მეექვსე შვილის – ვაჟის დაბადებამ. 4 ქალიშვილისა და ორი ვაჟის მამას ვულოცავთ ამ სიხარულს და ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს პირად საქმიანობაში თავის ოჯახთან ერთად.

ქარელში, დურმიშხან და ზვიად ბერუაშვილების ხსოვნის ტურნირზე

8 ივლისს ქარელში ჩატარდა დურმიშხან და ზვიად ბერუაშვილების ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში (დიდებში). წარმატებით იასპარეზეს და მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს ჩვენმა მოჭიდავეებმა, სადაც **ირაკლი კუპატაძემ** (60 კგ) და **ამირან დარბაისელმა** (66კგ). ორივე მათგანს ერთი ნაბიჯიღა ეკლდა ჩემპიონობამდე, მაგრამ არ გაუმართლათ და ასპარეზობა ვიცე-ჩემპიონის ტიტულითა და შესაბამისი ჯილდოებით დატოვეს.

ქარელის შემდეგ სიღნაღში

ირაკლი კუპატაძემ და **ამირან დარბაისელმა** ქარელის შემდეგ 12 ივლისს უკვე სიღნაღში, რესპუბლიკურ ტურნირზე იჭიდავეს, რომელიც ქართულ ჭიდაობაში, დიდების ასაკში ჩატარდა. როგორც ქარელში, კუპატაძემ კვლავ შეძლო ფინალში გასვლა, მაგრამ აქაც დამარცხდა ახმეტელ ოტიაშვილთან და კვლავ მეორე ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება ამირან დარბაისელს, სიღნაღში მან მესამე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონის ტიტული სამთავისიდან

13 ივლისს, კასპის რაიონის სოფელ სამთავისში ჩატარდა ივანე გამხიტაშვილის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2007-2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც პირველობა არავის დაუთმო 66კგ წონით კატეგორიაში **ლადო (ვლადიმერ) მაჩურიძემ** და ოქროს მედალი მოიპოვა.

ინფრასტრუქტურა-2023

ახალი შენობა

ძ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 153 000 ლარით ფინანსდება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება

ძ. საგარეჯოში, წიფლისხევის ქუჩის 2023 წლის გეგმით გათვალისწინებული მონაკვეთის მოასფალტება დაიწყო.

აღნიშნული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 713 096 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს განსაზღვრული პროექტების მიხედვით, დარჩენილი მონაკვეთების სამუშაოები 2023 წელს არის დაგეგმილი და ეტაპობრივად განხორციელდება.

სოფელ შიბლიანში მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია

მრავალფუნქციური სასტუმროკომპლექსი-უნიკალური შთაბეჭდილება, რომელიც სიცოცხლით სავსე ქართულ ბუნებასა და კულტურას მაღალტექნოლოგიურ ტურისტულ ცენტრთან აერთიანებს.

56 376 კვ/მ ტერიტორია;

ბევრი საინტერესო შეთავაზება...

აღნიშნული საინვესტიციო პროექტი, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ტრამპლინია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ისტორიაში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ადგილობრივი მაცხოვრებლების ეკონომიკურ წახალისებას.

ასეულობით სამუშაო ადგილის შექმნა, ტურიზმის განვითარების კიდევ ერთი თვალსაჩინო და შთაბეჭდილებების მდგრადი გარემო რეზორტის სახით -გაიხედე ჰორიზონტს მიღმა!

აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, შიბლიანი ერთ-ერთ წამყვანი, ტურისტული ცენტრის სახით იქნება რეგიონში წარმოდგენილი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ისტორიაში

სოფლებში: ანთოკსა და მარიამჯვარში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. ე. წ "ნასადგომარის" წყლის პროექტი სოფლის მოსახლეობას სასმელი წყლით მოამარაგებს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, დამატებით მოეწყო 2 ჭაბურღილი, დამონტაჟდა ცენტრალური მაგისტრალი და სატუმბი სადგური, განხორციელდა ელექტროენერგიის გადამცემი საყრდენი ბოძებისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები, რის შედეგადაც, სოფლებს ანთოკსა და მარიამჯვრის მოსახლეობას 24 საათიანი წყალმომარაგება აღუდგა.

27 ივლისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან, **ემზარი კუჭუაშვილთან** და სოფლის წარმომადგენელთან ერთად მარიამჯვარში მცხოვრებ ჭკუასელების ოჯახს ესტუმრა და იქ მყოფი ადგილობრივებისგან საჭიროებები და მოსაზრებები მოისმინა.

„წარმოუდგენელი ფაქტია, რომ უკვე ონკანებში 24 საათიანი წყალმომარაგებაა, ის, რომ მოასფალტებულია სოფელში შემოსასვლელი ცენტრალური გზა, რაც ნამდვილად ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევის შედეგია. სულ ცოტა ხნის წინ მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი, სადაც აქტიურად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები. მადლობა ამ კომფორტისთვის და ჩვენი გვერდში დგომისთვის“- განაცხადა ქნმა **ნინო ჭაუსელმა.**

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სოფელ გიორგიწმინდისა და ანთოკ-მარიამჯვრის გამრიცხველიანების პროექტირება.

ახალი საბავშვო ბაღი

სოფელ იორმუღანლოში, კომპანია "სოკარ ჯორჯიას" და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. ადაპტირებული საადმზრდელო დაწესებულება 160 ბავშვზეა გათვლილი.

დღის მოქმედი ანსამბლები

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №11,12,13)

გარეჯელი ლოტბარი და მომღერალი, რომელსაც გენებით მოსდგამს ქართული სიმღერის ერთგულება და სიყვარული

იმ საქმეში, რომ ქართული სიმღერა ასე ხიბლავს და ატყვევებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, ნებისმიერი ერის წარმომადგენლებს, ამაში დიდია ჩვენი, გარეჯელი მომღერლების დამსახურებაც. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, მათ დღევანდელ თაობებამდე მოიტანეს და ქართულ სიმღერებს არ დაუკარგეს ის ეშხი და მიმზიდველობა, რითაც ჩვენ ასე გვეამაყება მსოფლიოს წინაშე. სხვა მრავალთა შორის პირველ რიგში გვახსენდება ლეგენდარული **მიხა ჯიღაური** და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მუშაკი **ვანო მჭედლიშვილი**, რომელთაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართლ-კახური სიმღერების პოპულარიზაციის საქმეს და მათ ტრადიციებზე დღესაც მომღერალთა მთელი რიგი თაობები იზრდებიან.

ყველა, ვინც ოდნავ მაინც არის ჩახედული გარეჯული სიმღერებისა და მის შემსრულებელთა ხელოვნებაში, ალბათ, დამეთანხმება, რომ სადღეისოდ საგარეჯოში ასეთი, უშუალოდ მიხა ჯიღაურის სიმღერით მადლცხებული ერთადერთი კაცია, მრავალი წლის მანძილზე ანსამბლ „გარეჯის“ სოლისტი და მომღერალი, ლოტბარი, ღვთისგან გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული, ქართული სიმღერის სამსახურში ბავშვობის ადრეული წლებიდანვე ჩამდგარი და ახალ თაობებამდე პირვანდელი სახით მომტანი და მიმწოდებელი პიროვნება **მალხაზ ივანელაშვილი**. თითქმის 6 ათეულ წელზე მეტია იგი თავდადებითა და რუდუნებით ემსახურება ამ ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეულ მართლაცდა დიდ ეროვნულ საქმეს და თავისი ოჯახის წევრების გარდა, ბევრი გარეჯელი ახალ;გაზრდის გზამკვლევიცაა ქართული, ხალხური სიმღერების ოსტატურად დაუფლების საქმეში.

ყველაფერი ეს უკვე ხანდაზმულ, დამსახურებულ მომღერალს მამა-პაპით, გენებთ მოსდგამს. თითქოს უფალმა ინება, რომ მათ ოჯახსა და საერთოდ მოდგმას, ეს საპატიო და ფასდაუდებელი საქმე ეტვირთა. ***მამამისი* დათა ივანელაშვილი** გასული საუკუნის 60-იან წლებში საგარეჯოში ცნობილი მომღერალი და ლოტბარი, ბავშვობიდანვე ყოფილა გატაცებული ქართული სიმღერებით და თუ სადმე გაიგონებდა ქართულ სიმღერას, მალულად თუ ცხადად ესწრებოდა, სულგანაბული უსმენდა და იმახსოვრებდა. მისი ეს გატაცება დროულად შეუნიშნავს მის დედას, თვითონაც ქართული სიმღერების საუკეთესო შენმსრულებელს, 1935 წელს, დედას, იმ დროისათვის უკვე საქართველოში სახელგანთქმულ ლოტბარ ვანო მჭედლიშვილთან მიუყვანია გასინჯვაზე. ლოტბარს ძალიან მოსწონებია ხალასი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა და ძალიან მალე მოხვდა რაიონის სიმღერის მაშინდელ ანსამბლში, სადაც უკვე იყვნენ იმ დროის გარეჯელი მომღერლები და ლეგენდარული კაკაბელი მიხა ჯიღაური, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ამ ანსამბლის მშვენება და წამყვანი სოლისტი იყო.

1950 წელს დათა ივანელაშვილმა დაამთავრა სალოტბარო კვალიფიკაციის კურსები, რის შემდეგაც უფრო მეტი შესაძლებლობა გადაიშალა მის წინაშე. გარდა იმისა, რომ იგი რაიონის სხვადასხვა სოფლებში სათავეში ედგა ქართული სიმღერების შესწავლის საქმეს (იმ პერიოდში რაიონის თითქმის ყველა სოფელში შექმნილი იყო ქართული სიმღერის გუნდები). მან თავის შვილებსაც შეაყვარა და ასწავლა ქართული სიმღერები და შექმნილი ჰქონდა საოჯახო **ანსამბლი „ხუთკაცა“**, რომელშიაც დათას გარდა, გაერთიანებული იყვნენ მისი მეუღლე ბარბარე, შვილები: მალხაზი, ზინა და ნუნუ, რომლებიც ერთნაირი სიძლიერით ასრულებდნენ როგორც ომახიან „ჩაკრულოს“, ისე სხვა ქართულ ხალხურ სიმღერებს. ანსამბლი დიდი წარმატებით გამოდიოდა , როგორც ადგილობრივ და ზონალურ, ისე რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. ამის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა 1970 წლის 6 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა გიორგი ზუკაიშვილის სტატიამ „როცა ოჯახი მღერის“. იმ უამრავმა სიგელებმა და დიპლომებმა, რაც დღემდე ინახება მათ ოჯახში.

საოჯახო ანსამბლიდან მალხაზ ივანელაშვილი ქართლ-კახური სიმღერების ვირტუოზი ლოტბარის და შემსრულებლის ვანო მჭედლიშვილის მიერ შექმნილ რაიონულ გუნდში მოხვდა, სადაც თანდაყოლილი ნიჭის წყალობით მალე გაიკაფა გზა ქართული სიმღერების ადიარებულ შემსრულებელთა გვერდით და საპატიო ადგილი დაიკავა საგარეჯოს რაიონის კულტურის სახლთან არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „გარეჯში“, რომლის ლოტბარი და ქორეოგრაფი გახლდნენ ქართული კულტურის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი ადამიანები: მამია ბაქრაძე და ანზორ ნიკოლაიშვილი. ეს ის დრო იყო, როცა „გარეჯის“ სახელი ქუხდა არა მარტო საგარეჯოში, არამედ მთელ საქართველოში და ერთგვარ ცოცხალ სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა საგარეჯოში ჩამოსული ადგილობრივი თუ უცხოელი სტუმრების თვალში. გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ იმ დროს რაიონში არ ჩატარებულა არც ერთი სახის მცირე თუ დიდი კულტურული თუ სხვა ღონისძიება, რომ გარეჯის მომღერლებს და მათ შორის მალხაზ ივანელაშვილს თავიანთი სიმღერებით არ დაემშვენებინოთ. ანსამბლი შეუცვლელი მონაწილე იყო და არის დავით გარეჯის უდაბნოში დაარსებული სახალხო რელიგიური გარეჯობის დღესასწაულებისა.

„გარეჯისა“ და მალხაზ ივანელაშვილის შემოქმედებით ცხოვრებაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი 10 საზღვარგარეთული ტურნე და იქ მოპოვებული წარმატებები. მათ შემოქმედებას ერთნაირი ოვაციებით და ტაშისცემით ხვდებოდნენ: იუგოსლავიის, ჩეხეთისა თუ საბჭოეთის ქვეყნების მაყურებლები და მსმენელები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1988 წელს იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკაში „გარეჯის“ გასტროლები, სადაც მათ კონცერტები გამართეს იმ ქვეყნის წამყვან და დიდ ქალაქებში: ზაგრებში, ლუბლიანაში, შობენეკში, სარაევოში, ბოსტარში, ბელგრადში... ამ უკანასკნელში გარეჯელები 12-ჯერ წარსდგნენ და თორმეტივეჯერ მიაღწიეს წარმატებას. ფეხზე მდგომი მაყურებელი მქუხარე ტაშით ითხოვდა ყოველი ნომრის გამეორებას. ანსამბლის იუგოსლავიაში ამ ვიზიტის შესახებ 1988 წლის 15 მაისს კ. ცქიტიშვილი გაზეთ „კომუნისტში“ წერდა, თუ როგორ გაალღვეს იუგოსლავიასა და სსრკ-ს შორის დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია თავისი გამოსვლით „გარეჯის“ წევრებმა. იმ დრომდე თითქმის 20 წელი იუგოსლავიაში არც ერთი საბჭოთა ანსამბლი არ გამოჩენილა. მაგრამ, ისე მოხიბლეს გარეჯელებმა იქაური პარტიული ელიტა ფარიკაობით, რომ მას შემდეგ იუგოსლავიაში სხვა საბჭოთა ანსამბლებისათვისაც ფართოდ გაიღო კარი. „გარეჯის“ ეს გასტროლები ფართოდ გაუშუქებია იუგოსლავიის იმდროინდელ პრესას, რადიოს და ტელევიზიას.

მანამდე, 1984 წელს იყო არანაკლებ წარმატებული კონცერტები ჩეხოსლოვაკიაში და საბჭოეთის სხვადასხვა რესპუბლიკებში, რომლის უცვლელი მონაწილე მალხაზიც იყო და ეს მასალები დაცულია იმდროინდელ პრესაში.

როგორც ლოტბარმა მ. ივანელაშვილმა 1987 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს რაიგანყოფილებასთან ჩამოაყალიბა სიმღერის გუნდი, რომელშიც რაიონის 30 წამყვანი მომღერალი შემოიკრიბა და მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში. როგორც

1988 წლის 12 ნოემბრის შს სამინისტროს გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ ნომრიდან ჩანს, გარდა ქართული სიმღერებისა, გუნდის რეპერტუარში სხვა ეროვნების ხალხთა სიმღერები ყოფილა შესული. კერძოდ, გაზეთში ვკითხულობთ: „გუნდი მალე გამოვა შს რესპუბლიკური სამინისტროს თვითშემოქმედების ფესტივალში, სადაც იმღერებენ ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და აფხაზურ სიმღერებს“. იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ საქართველოს ტელევიზიას ჩაუწერია გუნდის სამი ხალხური სიმღერა.

მალხაზ ივანელაშვილის სალოტბარო მოღვაწეობიდან (იგი რაიონის სხვადასხვა სკოლებში, სხვადასხვა დროს სიმღერასაც ასწავლიდა), შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მისი საოჯახო ვოკალური ანსამბლის საქმიანობა, რომელშიც მის გარდა, მეუღლე ნუნუსთან ერთად მღეროდნენ მისი შვილები ირმა, ია და თამუნა, რომელთაც თავის დროზე სათანადო მუსიკალური ცოდნაც შეიძინეს. საოჯახო ანსამბლის წევრები თანაბარი სიძლიერით ასრულებდნენ ყველა ყოფით ქართულ სიმღერებს: „მრავალჟამიერი“, „დიამბეგი“, „წუთისოფელი ასეა“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ და სხვა. ანსამბლი მონაწილეობას იღებდა მრავალ რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში, სადაც სამჯერ მოიპოვეს რესპუბლიკურ ფესტივალში გამარჯვებულის წოდება.

ასე, წლების მატებასთან ერთად მატულობდა ქართული სიმღერებისადმი ლოტბარის საოჯახო და მის მიერ შექმნილი გუნდის მომღერალთა ოსტატობა – შესაბამისად სიგელების, დიპლომებისა და საჩუქრების რიცხვი, რომელთაც იგი დღემდე უფრთხილდება და იცავს საკუთარ ოჯახში. ეს ხომ მისი და საერთოდ „გარეჯის“ სიმღერის ისტორიაცაა, რომელიც მის შთამომავლობასა და მომავალ თაობებს შემოუნახავს ცნობებს ერთ ჩვენებურ, ქართული სიმღერის მოყვარულ და მოერთგულე გარეჯელ მომღერალზე, რომელსაც საამაყოდ მარტო ისიც ეყოფა, რომ თავის დროზე ისიც მდგარა მიხა ჯიღაურის, ვანო მჭედლიშვილისა და სხვა ღირსეულ გარეჯელ მომღერალთა ტრადიციების დაცვის საქმეში.

გადის დრო, მაგრამ მან ვერაფერი დააკლო გარეჯელი ლოტბარის ქართული სიმღერისადმი დამოკიდებულებას. იგი დღესაც ჩვეული ენერგიით უდგას სათავეში „გარეჯის“ მომღერალთა გუნდს, რომელიც მთლიანად ახალგაზრდული თაობის, მათ შორის მისი აღზრდილი მომღერლებითაა დაკომპლექტებული. გიორგი ჯაფარიძე, სიმონ მელაშვილი, ირაკლი კოხტაშვილი, ირაკლი რევაზიშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, გიორგი ბუზარიაშვილი, სოსო ქურხული და სხვები ღირსეულად აგრძელებენ მალხაზ ივანელაშვილის შემწეობით ნასწავლი, წინა თაობების ნამღერი ქართლ-კახური და სხვა ქართული სიმღერების შესრულების ოსტატობას, ჩვენს სიმღერებს არ უკარგავენ იმ ეშხსა და მიმზიდველობას, რომლითაც ისინი გამორჩეულები არიან მსოფლიოს ხალხთა შემოქმედებაში.

წარმატებები მათ, ჩვენი ერის სულიერი საგანძურის ღირსეულ დამცველებსა და ჯარისკაცებს, რომელთა შემოქმედებაშიც დღემდე ცოცხლობს და შემორჩენილია მიხა ჯიღაურის, ვანო მჭედლიშვილისა და სხვა გარეჯელ მომღერალთა ტრადიციები.

გივი დაბახიშვილი

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს თინიკო ძაბილაშვილს დედის

ვენერა მარიდაშვილი-ძაბილაშვილის

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე